საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 175 2017 წლის 31 მარტი ქ. თბილისი

„იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №242 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/03/2014, 120200010.10.003.017862) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-9 მუხლის:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცული ტერიტორიების სააგენტოს:

ა) თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) ინსპექტირების სამსახურის თანამშრომელი;

გ) ტერიტორიული ადმინისტრაციის დირექტორი;

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 6230
"03" 04 2017

დ) ტერიტორიული ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსი, უფროსის მოადგილე;

ე) ტერიტორიული ადმინისტრაციის უბნის უფროსი, რეინჯერი, რეინჯერი.“.

2. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს:

ა) უფროსი, უფროსის მოადგილე;

ბ) შიდა კონტროლის სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე;

გ) ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

დ) ტერიტორიული ორგანოს სატყეო სამსახურის უფროსი, უფროსი მეტყევე, სატყეო უბნის უფროსი, ტყის მცველი.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი